

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ:

პეტიციის ინიცირების დაწყების თაობაზე განცხადების წარმდგენი მომხსენებლების სახელი და გვარი:

1. ოთხი ხეივანი;
2. მთა მთი;
3. ნუგზის განვითარება;
4. ქეთევან კობახიძე;
5. მამის ხეობები;
6. დათო სიხიძე;
7. თინათინ ასრუცაძე;
8. ლადო ნაჩხაძე;
9. თიკო ფხანგულიძე;
10. გიგო, მან

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

### პეტიცია

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ქუჩების გადაკვეთის ადგილებში მოძრაობის მარეგულირებელი შუქნიშნები განთავსებული არ არის, რის გამოც გახშირდა ავტოავარიების შემთხვევები.

ავტომანქანების ჭარბი რაოდენობის პირობებში, მარეგულირებელი შუქნიშნების არ არსებობა, პრაქტიკულად ყოველდღე ქმნის საცობებს. გზაჯვარედინებზე შუქნიშნების არარსებობა საფრთხეს უქმნის ფეხით მოსიარულე მოქალაქეებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლების/მგზავრების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამ მხრივ, აღსანიშნავია, ქალაქის ცენტრალური უბნები: საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორია და ცენტრალური მაგისტრალის, ბათუმი- ოზურგეთი-სამტრედიის, ქალაქის მონაკვეთი.

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები მოვითხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 86-ე მუხლის, მე-4 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის და ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, მოქალაქეთა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, განიხილოთ წარმოდგენილი პეტიცია და უმოკლეს დროში უზრუნველყოთ ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ქუჩების გადაკვეთის ადგილებში მოძრაობის მარეგულირებელი შუქნიშნების განთავსება.

პეტიციას თან ერთვის დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების პირადობის მოწმობების (პასპორტის) ასლები;
2. პეტიციის მხარდამჭეთა ხელმოწერილი ბლანკები.

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების სახელი, გვარი და ხელმოწერა:

1. ოთხი ხეივანი
2. მთა მთი
3. ნუგზის განვითარება
4. ქეთევან კობახიძე
5. მამის ხეობები
6. დათო სიხიძე
7. თინათინ ასრუცაძე
8. ლადო ნაჩხაძე
9. თიკო ფხანგულიძე
10. გიგო, მან

პეტიციის წარდგენის თარიღი: 29 დეკემბერი 2016 წელი

